ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95. 95261494**

თარიღი:**29/05/2026**

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეების უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მდებარე უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭოს სახელწოდება — „მე-8 ქუჩის I ჩიხი“, ორთოფოტოს თანახმად (დანართი №1).

2.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:

ა)სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;

ბ)საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;

გ)საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;

დ)სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

ე)ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძე).

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი